ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

CSRDG
საქართველოს სტრატეგიული
კვლევებისა და განვითარების ცენტრი

პროექტი

სუფთა რეგიონი - გზა ევროპისაკენ

(მონიტორინგის ანგარიში)

SAMTSKHE JAVAKHETI MEDIA CENTER
სამცხე ჯავახეთის მედია ცენტრი

ბორჯომი, 2020 წელი

პროექტის მართვის გუნდი:

პროექტის ხელმძღვანელი: მარინა კუპატაძე

მონიტორინგის ოფიცერი: ნინო ჯიქურაშვილი

პროექტის კოორდინატორი: მაია მამასტარაშვილი

კოორდინატორის ასისტენტი: ეკა ნოზაძე

კონსულტანტი: ქეთევან ბებიაშვილი

***

წინამდებარე დოკუმენტი შექმნილია ორგანიზაცია ,,სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი“-ს (SJMC) მიერ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ფარგლებში.

„სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივა“ ხორციელდება კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) მიერ სამოქალაქო საზოგადოების ინსიტუტთან (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრთან (CTC), საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან (CSRDG) და განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრთან (EDEC) თანამშრომლობით.

პროექტს აფინანსებს ევროკავშირი, ხოლო თანადამფინანსებელია კონრად ადენაუერის ფონდი.

დოკუმენტის შინაარსზე სრულიად პასუხისმგებელია ორგანიზაცია „სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრი“ და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის, სხვა დონორებისა და კონსორციუმის პარტნიორების შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი 4

მონიტორინგის მეთოდოლოგია 5

მონიტორინგის თემები და ლოკაცია 6

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ნარჩენების მართვის გეგმების შესრულების მოკლე მიმოხილვა, არსებული სიტუაციის ანალიზი 7

სტიქიური ნაგავსაყრელები 7

სამშენებლო ნარჩენები 16

გარემოსდაცვითი ცნობიერება 19

მნიშვნელოვანი მიგნებები და დასკვნები 24

რეკომენდაციები 25

შესავალი

სამცხე-ჯავახეთი ტურისტებისათვის მიმზიდველი რეგიონია თავისი კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნებით, დაცული ტერიტორიებით, ზამთრისა და საზაფხულო კურორტებით, მდიდარი ლანდშაფტით და რეკრიაციული ზონებით. ამავე დროს, აქ, ყოველწლიურად 100 ათასობით ჩამოსულ ტურისტს ტყეებში, გზების და მდინარეთა ნაპირებზე მიმოფანტული ნაგავი ხვდება, რომელიც გარემოს აბინძურებს.

ბოლო პერიოდში რეგიონში მყარი ნარჩენების მართვის კუთხით ბევრი რამ გაკეთდა. რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტის ქალაქებში, დაბებში და სოფლებში ყოველწლიურად ხდება ახალი სანაგვე ურნების დამატება, სპეციალური მანქანებით რეგულარულად გააქვთ საყოფაცხოვრებო ნარჩენები, დაიხურა რამდენიმე ნაგავსაყრელი, ეწყობა დასუფთავების აქციები. მიუხედავად ამისა, გარემოს დაბინძურება რეგიონისათვის კვლავ მნიშვნელოვანი პრობლემაა.

გამოწვევაა არასაკმარისი ინფრასტრუქტურა. რეგიონის ყველა სოფლიდან ჯერ კიდევ ვერ ხდება ნაგვის გატანა, არაა საკმარისი რაოდენობის ნაგვის კონტეინერები, რის გამოც საყოფაცხოვრებო ნარჩენები სტიქიურ ნაგავსაყრელზე ხვდება. პრობლემაა სამშენებლო ნარჩენები. მოქალაქეები და კერძო სექტორი ხშირად საყოფაცხოვრებო და სამშენებლო ნარჩენებს ტყის მასივებში, მინდვრებში ან მდინარეში ყრის, რაც აბინძურებს გარემოს, აზიანებს წყლის ეკოსისტემას და ბიომრავალფეროვნებას.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კუთხით კონკრეტულ დირექტივებს უწესებს. ისევე, როგორც ყველა რეგიონში, სამცხე-ჯავახეთშიც არსებობს 2014-2021 წლების რეგიონის განვითარების სტრატეგია, სადაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი გარემოს დაცვის მიმართულებას. აღნიშნული ხედვის საფუძველზე ყველა მუნიციპალიტეტში შექმნილია ნარჩენების მართვის ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა.

სამცხე-ჯავახეთის მედია ცენტრის პროექტის - ,,სუფთა რეგიონი -გზა ევროპისაკენ“ - მართვის გუნდმა მიზნად დაისახა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში მუნიციპალიტეტების ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმის მონიტორინგი სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვასთან და საზოგადოების ინფორმირებასთან დაკავშირებით.

პროექტის მართვის გუნდი მადლობას უხდის ბორჯომის, ახალციხის, ახალქალაქის, ნინოწმინდის, ადიგენისა და ასპინძის მუნიციპალიტეტების მერიის წარმომადგენლებს პროექტის მართვის გუნდთან აქტიური თანამშრომლობისათვის.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგი განხორციელდა 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ივლისის ჩათვლით.

მონიტორინგის მიზნით სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მინიციპალიტეტებიდან გამოვითხოვეთ ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმებისა და 2018-2019 წლების გეგმების შესრულების ანგარიშები, მათი შესწავლისა და გაანალიზების მიზნით.

ჩაიწერა 17 ჩაღრმავებული ინტერვიუ როგორც რეგიონის მუნიციპალიტეტების მერიისა და ააიპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის წარმომადგენლებთან, ასევე ადგილობრივი გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ჩატარდა 10 კაციანი ფოკუს-ჯგუფი რეგიონში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და ადგილობრივი თემების აქტიური მოქალაქეების მონაწილეობით. მოეწყო მონიტორინგის ჯგუფის საველე გასვლები და შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობასთან სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების 25 სოფელსა და გარეუბანში. შევხვდით და ვესაუბრეთ 60 -მდე ადგილობრივ მცხოვრებს არსებული სიტუაციის ანალიზისა და სოფლებში სტიქიური ნაგავსაყრელების შესახებ ინფორმაციების მოძიების მიზნით. (დეტალური ინფორმაცია იხ. N 1. ცხრილში ქვემოთ:)

ცხრილი N 1.

	ინტერვიუ მერიისა და დას. სამსახ. წარმომადგ.		ინტერვიუ არასამთ. ორგ წარმომადგენ.		შეხვედრები მოქალაქეებთან		ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები		სულ	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
ადიგენი		2	1			4	1		2	6
ასპინძა	1	1	1		6	2		1	7	5
ახალციხე		2			1	2	1	1	2	5
ახალქალაქი		3			6	6	2		8	9
ბორჯომი		3		1	8	5	2		10	9
ნინოწმინდა	1	1			4	12	2		7	12
	2	12	2	1	25	31	8	2	36	47
სულ :	**14**		**3**		**56**		**10**		**83**	

განხორციელდა მოპოვებული ინფორმაციის შესწავლა და ანალიზი, მომზადდა 6 მულტიმედია მასალა, შემუშავდა რეკომენდაციები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ნარჩენების მართვის კუთხით არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

მონიტორინიგის შედეგები ეფუძნება არსებული დოკუმენტების შესწავლას, ჩაღრმავებული ინტერვიუების, მოქალაქეებთან შეხვედრების დროს მიღებულ ინფორმაციებს და ფოკუს-ჯგუფის შედეგებს. კვლევა არ არის წარმომადგენლობითი.

მონიტორინგის თემები და ლოკაცია

მონიტორინგის თემა იყო სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების ნარჩენების მართვის 5 წლიანი გეგმის შესწავლა - გაანალიზება სტიქიურ ნაგავსაყრელებთან და ნარჩენების მართვის შესახებ საზოგადოების ინფორმირებასთან დაკავშირებით.

მონიტორინგის ჯგუფმა თითოეულ მუნიციპალიტეტში სამზე მეტ სოფელსა და ქალაქის გარეუბანში განახორციელა საველე გასვლები სტიქიური ნაგავსაყრელების აღრიცხვისა და ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრების მიზნით.

სხვადასხვა დროს განხორციელდა მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტები ექვსივე მუნიციპალიტეტის ქალაქებსა და სოფლებში 25 ლოკაციაზე: (დეტალური ინფორმაცია იხ. N2. ცხრილში და რუკაზე ქვემოთ:)

ცხრილი N 2.

	ადიგენი	ასპინძა	ახალციხე	ახალქალაქი	ბორჯომი	ნინოწმინდა
1	კახარეთი	ვარგავი	აწყური	დილისკა	ჭობისხევი	პატარა გონდურა
2	ჩორჩანა	თოკი	წნისი	პტენა	ახალდაბა	დიდი გონდურა
3	უდე	ოშორა	საძელი	ჩუნჩხა	ტაბაწყური	ოროჯალარი
4	ბენარა	რუსთავი			წაღვერი	ჯიგრაშენი
5	ლელოვანი				ბალანთა	



რუკაზე წითლად მონიშნულია ის ადგილები, სადაც განხორციელდა მინიტორინგის ჯგუფის საველე გასვლები.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების ნარჩენების მართვის გეგმების მოკლე მიმოხილვა, არსებული სიტუაციის ანალიზი

სტიქიური ნაგავსაყრელები

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სტიქიური ნაგავსაყრელების თემას.

ადიგენის

მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმაში გაწერილია, რომ ადიგენში სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა 2022 წელს უნდა მოხდეს. ნარჩენების მართვის გეგმაში ადიგენის მერიას არ აქვს დაზუსტებული, თუ რა რაოდენობის სტიქიური ნაგავსაყრელია აღრიცხული მუნიციპალიტეტში. ჩვენს მიერ ჩატარებული მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ამ დროისთვის მუნიციპალიტეტში 20-მდე არასანქცირებული ნაგავსაყრელია, აქედან 8 ნაგავსაყრელი 2020 წელს დაიხურა.

მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ მერიამ გარემოს დაცვის სამინისტროს წერილით მიმართა და მოითხოვა ის რეკომენდაციები და პროცედურები, რომლის დაცვითაც უნდა მოხდეს ნაგავსაყრელების დახურვა, როგორც გაირკვა, ინტერვიუს ჩაწერის დროს გარემოს დაცვის სამინისტროდან პასუხი არ ჰქონდათ მიღებული.

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიაში გვითხრეს, რომ ნაგავსაყრელების დახურვის მიზნით გადამზადდნენ თანამშრომლები და მათ უკვე 8 ნაგავსაყრელის დახურვა შეძლეს. ადგილები მოსუფთავდა და დაიდგა ნაგვის ურნები. მონიშნულ ტერიტორიებზე მონიტორინგი მიმდინარეობს და ამ ეტაპზე იმ ადგილებზე, სადაც სტიქიური ნაგავსაყრელი დაიხურა და ნაგვის ურნები დაიდგა, დაბინძურების ფაქტები აღარ გამოვლენილა.

იგივეს ამბობს ფოკუს-ჯგუფის წარმომადგენელი, 58 წლის ქალი ადიგენის ერთ-ერთი სოფლიდან, როგორც მან გვითხრა, ადრე უფრო რთული სიტუაცია იყო. მას შემდეგ რაც ნაგვის გატანა სოფლებიდან რეგულარულად დაიწყეს, გარემო იმ ადგილებში, საიდანაც ნაგავი გააქვთ აღარ ბინძურდება.

თუმცა ყველა სოფელში ასე არ ხდება. ჩაღრმავებული ინტერვიუს ფორმატში გამოირკვა, რომ ნარჩენების გატანას მერია 45 სოფლიდან 12 სოფელში ვერ ახერხებს, ამის მიზეზი კი საგზაო ინფრასტრუქტურის არარსებობა და რთული რელიეფია. ეს ცხადია, წარმოშობს სტიქიური ნაგავსაყრელების პრობლემებს.

რაც შეეხება ტექნიკას, ამ ეტაპზე ადიგენს 2 დიდი მოცულობის 7 და 13 კუბიანი ნაგავმზიდი მანქანა ემსახურება. მერიაში ამბობენ, რომ განსაკუთრებით მცირეგაბარიტიანი ტექნიკის დამატება ესაჭიროებათ, რათა ვიწრო გზებზე, ძნელად მისადგომი ადგილებიდან ნარჩენების გამოტანა უზრუნველყონ.

კიდევ ერთი მიზეზი, რაც სტიქიური ნაგავსაყრელების წარმოქმნის პროცესს უწყობს ხელს ადიგენში, სანაგვე კონტეინერების არასაკმარისი რაოდენობაა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით სულ 386 სანაგვე ურნა დგას. ცხადია, ეს არ არის საკმარისი რაოდენობა მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად მომსახურების მიწოდების არარსებობა ქმნის სტიქიური ნაგავსაყრელების პრობლემას.

ასპინძის

მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმაში მითითებულია, რომ არასანქცირებული სტიქიური ნაგავსაყრელები სოფლებსა და ტურისტული დანიშნულების ადგილებში მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა. ნარჩენების მართვის გეგმაში არ არის დაკონკრეტებული რამდენი სტიქიური ნაგავსაყრელია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, თუმცა მერიის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს დასახელდა, რომ მუნიციპალიტეტის მასშტაბით სულ 7 სტიქიური ნაგავსაყრელია.

სტიქიური ნაგავსაყრელების წარმოქმნას ის ფაქტი უწყობს ხელს, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტის ყველა სოფლიდან ნარჩენების გამოტანა ვერ ხერხდება. როგორც ნარჩენების მართვის გეგმაში წერია - 2019 წლამდე მუნიციპალიტეტში დასუფთავების მომსახურებით მოცული იყო დაბის 21 ქუჩა და მხოლოდ 13 სოფელი, დღეს კი დასუფთავებას ექვემდებარება დაბის 28 ქუჩა, 17 სოფელი და 4 გზის მონაკვეთი. რაც შეეხება დარჩენილ 7 სოფელს , კერძოდ: ორგორას, საყუდაბელს, ძველს, ჭობარეთს, აწყვიტას, თოკს, ვარგავს- ეს სოფლები ამ ეტაპზე მომსახურებას ვერ იღებენ. თავდაპირველად აქ საგზაო ინფრასტრუქტურის არარსებობა იყო შემაფერხებელი, მოგვიანებით კი, ამ პრობლემის გადაჭრის შემდეგ, თავი იჩინა სპეც-ტექნიკის არასაკმარისმა რაოდენობამ.

ფოტოზე: სტიქიური ნაგავსაყრელი სოფელ თოკში

ასპინძის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმაში წერია, რომ სულ 3 ერთეული სპეც-ტექნიკა მუშაობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, აქედან სამივე მუშა-მდგომარეობაშია. თუმცა, მონიტორინგის დროს გამოიკვეთა, რომ ამ ეტაპზე

მუნიციპალიტეტში მხოლოდ 2 მაღალი გამავლობის მანქანაა მუშა მდგომარეობაში, 1 კი მწყობრიდან არის გამოსული.

ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ ერთ-ერთი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი, რის გამოც, ყველა სოფლიდან ნარჩენების გამოტანა ვერ ხერხდება სპეც. ტექნიკისა და სანაგვე კონტეინერების ნაკლებობაა, რასაც საბოლოოდ სტიქიური ნაგავსაყრელების წარმოქმნამდე მივყავართ.

სტიქიური ნაგავსაყრელების აღმოფხვრის ვალდებულება ასპინძის მუნიციპალიტეტეტს ნარჩენების მართვის გეგმაში 2022 წლამდე აქვს გადანაწილებული. როგორც ინტერვიუს დროს გამოვლინდა, მერიაში ელოდებიან მითითებებს - თუ რა წესით და რა სახსრებით უნდა მოხდეს სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია.

რაც შეეხება სანაგვე ურნებს, ნარჩენების მართვის გეგმაში, კერძოდ : 2018-2019 წლების ვალდებულებაში წერია, რომ კონტეინერების შეძენა და დამონტაჟება მოხდება მუნიციპალიტეტსა და 10 სოფლის დასახლებაში, სადაც ჯერ კიდევ მოქმედებს ზარით შეგროვების სისტემა *, ასევე გეგმაში გაწერილია კონტეინერების შეძენა და დამონტაჟება 15 - მდე ლოკაციაზე, ეკლესია- მონასტერთან და გზის პირებზე.

ჩვენს მიერ ასპინძის მერიიდან გამოთხოვილ ოფიციალურ ინფორმაციაში ნათქვამია, რომ ასპინძის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების უზრუნველსაყოფად 2018-2019 წლებში განხორციელდა 100 პლასტმასის ურნის შეძენა და დამონტაჟება. სულ დაბაში დამონტაჟებულია 125.4 მ კუბის ტევადობის 114 ცალი კონტეინერი, ხოლო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე - 137.5 მ კუბის ტევადობის 125 ცალი კონტეინერი. რაც ცხადია არაა საკმარისი.

ახალციხის

მუნიციპალიტეტში, როგორც ინტერვიუებიდან და ფოკუს-ჯგუფიდან ირკვევა ნარჩენების მართვის კუთხით ბოლო სამი წელია სიტუაცია გამოსწორდა. როგორც ქალაქის ქუჩებიდან, ასევე სოფლებიდან რეგულარულად ხდება ნაგვის გატანა. თუმცა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კვლავ რჩება დასახური სტიქიური ნაგავსაყრელები.

მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმაში მითითებულია, რომ ახალციხეში მუნიციპალიტეტის მასშტაბით სულ 6 სტიქიური ნაგავსაყრელია, თუმცა

---

* ***ზარით შეგროვების სისტემა*** *- სისტემა, რომლის დროსაც სოფელში, ან გარკვეულ ლოკაციაზე ხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება. მას შემდეგ , რაც შეგროვდება გარკვეული რაოდენობის ნაგავი, რეკავენ სოფლიდან დასუფთავების სამსახურში და ითხოვენ გააგზავნონ მათთან მანქანა და გაიტანონ ნარჩენები.*

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ მათი რაოდენობა გეგმის შედგენის შემდეგ გაიზარდა და ბევრად აღემატება გეგმაში ასახულ მაჩვენებლებს.

ახალციხის ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმაში წერია, რომ სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა ეტაპობრივად უნდა მოხდეს 2018 წლიდან.

ჩაღრმავებული ინტერვიუების ფორმატში გამოვლინდა, რომ ამ ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტს საკმარისი სახსრები არ აქვს და საჭიროებს დახმარებას, მათ შორის გამოცდილების გაზიარებისა და კადრების სპეციალიზირების კუთხით. ახალციხის მუნიციპალიტეტი ნარჩენების გამოტანას ამჯერად ყველა სოფლიდან ახდენს, თუმცა უფრო ეფექტური მუშაობისათვის საჭიროა სპეც ტექნიკის დამატება.

რაც შეეხება სანაგვე ურნებს, მუნიციპალიტეტში სულ 1300 კონტეინერია. აქედან 800 არის ქალაქში, 500 სოფლებში. განთავსებულია 400-მდე პატარა ნაგავშემკრები ურნაც.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით, 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესაბამისად ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2018 წელს განხორციელდა ურნების შეძენა/დამონტაჟება ახალციხის მუნიციპალიტეტის მთელს სამოქმედო ტერიტორიაზე.

2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მხრიდან განხორციელებულია ნარჩენების შეგროვების ოპტიმალური გეგმისა და ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის ოპტიმიზაცია. ასევე, შედგენილია ნარჩენების კონტეინერების რეცხვის გრაფიკი, მუშა-მოსამსახურეთათვის ყოველწლიურად ხორციელდება სპეც.ტანსაცმლის შეძენა, შედგენილია რუკა, რომელზეც დატანილია კონტეინერების განთავსების ადგილები და გრაფიკები, დაწყებულია მოსაკრებლის ამოღების ეფექტიანი ორგანიზების უზრუნველყოფა. ყოველივე ზემოაღნიშნული ღონისძიების ეფექტურად განხორციელების მიზნით, ეტაპობრივად მიმდინარეობს ტრენინგ-სემინარების ჩატარება, სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებულია შეხვედრების ორგანიზება ბიზნეს და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან (როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებთან).

ახალქალაქის

მუნიციპალიტეტში 40-მდე არასანქცირებული ნაგავსაყრელია. ნაგავსაყრელების წარმოქმნას ის ფაქტი უწყობს ხელს, რომ ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტის ყველა სოფლიდან არ ხდება.

რთული რელიეფის გამო 64 სოფლიდან ნარჩენების გატანის სერვისით მხოლოდ ქალაქი და 25 სოფელი სარგებლობს. არასაკმარისი დაფარვის მიზეზად რთული

რელიეფი, მოუწყობელი საგზაო ინფრასტრუქტურა და არასაკმარისი რაოდენობის ტექნიკა სახელდება.

განსაკუთრებით მძიმე სიტუაციია სოფელ დილისკაში, რომელიც ახალქლაქიდან სამ კილომეტრში მდებარეობს. აქ დიდ ფართობზეა გაშლილი სტიქიური ნაგავსაყრელი, სადაც ყველა სახეობის ნარჩენი ხვდება. იქვე მახლობლად, მოპირდაპირე მხარეს დაახლოებით 300 მეტრში მდებარეობს მეორე სტიქიური ნაგავსაყრელიც.

ფოტოზე: ორი სტიქიური ნაგავსაყრელი სოფელ დილისკაში.

მონიტორინგის ჯგუფმა ახალქალაქის მუნიციპალიტეტისგან გამოთხოვილი 2018-2019 წლების გეგმების შესრულების საჯარო ინფორმაცია ვერ მიიღო, ვეყრდნობით ჩაღრმავებულ ინტერვიუებს, ფოკუს-ჯგუფის შედეგებს და სოფლებში მოსახლეობასთან შეხვედრების დროს მიღებულ ინფორმაციებს. მოპოვებული ინფორმაციით - მუნიციპალიტეტს აქვს 190 ცალი ერთ კუბიანი, 100 ცალი 0,50 კუბიანი სანაგვე კონტეინერი. აღსანიშნავია,რომ 40 სოფელში სანაგვე კონტეინერი საერთოდ არ დგას. თუმცა იმ სოფლებშიც, სადაც ნაგვის ურნები დგას, არასაკმარისია სანაგვე კონტეინერების რაოდენობა.

ფოკუს ჯგუფის მონაწილის ციტატა:

> ,,სოფელ გომანში არის 7-8 კონტეინერი, სოფელ ზაკვში კი არც ერთი ნაგვის კონტეინერი არ დგას. 2 კმ მაინც უნდა გაიარო, რომ ნაგვის კონტეინერამდე მიხვიდე. ცხადია, ამას არავინ აკეთებს, მოსახლეობის ცნობიერებაც დაბალია, მაგრამ ასეც რომ არ იყოს, სად წაიღოს, სად დაყაროს ნაგავი, როცა არაა კონტეინერი? ზაკვის გადასახვევთან დგას ერთი კონტეინერი, რომელსაც მოსახლეობა იყენებს იმ შემთხვევაში, როცა მანქანით გადაადგილდება. ძალიან ბევრი ნაგავსაყრელია სოფელში. მთა არის არაგვასა და ზაკვს ჰყოფს, აქ გზა არის და ამ გზაზე 5-6 სოფლის მოსახლეობა გადაადგილდება ტრანსპორტით. მოაქვთ იქ ტომრებით ნაგავი და ყრიან პირდაპირ. „

როგორც მოსახლეობასთან შეხვედრებისა და მონიტორინგის შედეგად გამოირკვა, ახალქალაქში სტიქიური ნაგავსაყრელების პრობლემა არ აღმოიფხვრება მანამ, სანამ ყველა სოფლიდან არ მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანა.

ახალქალაქის მერიას სტიქიური ნაგავსაყრელის აღმოფხვრისა და არსებულ ნაგავსაყრელზე გატანის ვალდებულება 2022 წლამდე აქვს გაწერილი, ჩაღრმავებული ინტერვიუს ფორმატში გამოირკვა, რომ ამ ეტაპზე სტიქიური ნაგავსაყრელების დასახურად მერიას საკმარისი ფინანსები არ აქვს.

ბორჯომის

მუნიციპალიტეტში ბოლო სამი წელია ნარჩენების მართვის მხრივ სიტუაცია გაუმჯობესდა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის სოფელ წაღვერში ბორჯომისა და ბაკურიანისათვის ნარჩენების გადამტვირთი სადგურის მოწყობას, სადაც ხდება მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიიდან ნარჩენების შეგროვება და შემდეგ სპეციალური გადამტვირთი მანქანებით მათი რეგულარული ტრანსპორტირება ხაშურის კეთილმოწყობილ მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

ფოტოზე, ქვემოთ: ნარჩენების გადამტვირთი სადგური ბორჯომში

,, ვხედავ, რომ ამ ბოლო წლებში ბორჯომში დაემატა ნაგვის კონტეინერები, გამოსწორდა შედარებით სიტუაცია და ქუჩაში რომ ეყარა პირდაპირ ნაგავი ასე აღარაა, სისტემატიურად გააქვთ ტერიტორიიდან ნაგავი, ცლიან ამ ურნებს მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახური. მაგრამ ვიცი, რომ არის სოფლები, სადაც ისევ არის სტიქიური ნაგავსაყრელები. ვიცი რომ ტაბაწყურშია და ზედა ზონის სოფლებში, საიდანაც ვერ ხერხდება ნაგვის გატანა. არის სხვა ადგილებშიც, სადაც ტრადიციულად შეეჩვივნენ ნაგვის დაყრას.“ - ამბობს ფოკუს-ჯგუფის ერთ-ერთი მონაწილე.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმაში ნარჩენების განთავსების არალეგალურ ადგილებთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 6 სტიქიური ნაგავსაყრელი, თუმცა ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ეს რიცხვი მინიმუმ ორმაგია.

როგორც ჩაღრმავებული ინტერვიუს ფორმატში გამოვლინდა, გეგმის შემუშავების შემდეგ 2 წელი გავიდა, ამ პერიოდში კი ახლადწარმოქმნილი ნაგავსაყრელების აღრიცხვა აღარ მომხდარა. განსაკუთრებით მდინარის ნაპირებზე წარმოქმნილი არალეგალური ნაგავსაყრელების რაოდენობა გაიზარდა.

რაც შეეხება ნაგავსაყრელების რემედიაციას, მუნიციპალიტეტი გარემოს დაცვის სამსახურებთან ერთად გეგმავს მოახდინოს რემედიაციის პროცესი. უკვე დასრულდა სოფ. ვარდგინეთის ნაგავსაყრელის რემედიაცია. რაც შეეხება მათ მიერ აღრიცხულ დანარჩენ 5 ნაგავსაყრელს, მათი რემედიაციის პროცესის დაწყება ამ ეტაპზე ბუნდოვანია.

გარდა ამისა, როგორც კვლევის პროცესში გახდა ცნობილი, მუნიციპალიტეტს უჭირს ნაგავსაყრელების დამოუკიდებლად დახურვა და დახმარებას გარემოს დაცვის სამინისტროდან, ან ამ კუთხით მომუშავე არასამთავრობო სექტორიდან ითხოვს.

როგორც ინტერვიუების დროს გვითხრეს, ნაგავსაყრელების დახურვა დროში განსაზღრული პროცესია, რასაც შესაბამისი კომპეტენცია და ფინანსური რესურსი სჭირდება. ვითარებას ამწვავებს ის რთული რელიეფი, სადაც სტიქიური ნაგავსაყრელებია განთავსებული.

საწყის ეტაპზე უნდა მოხდეს დროში გაწერილი კონკრეტული გეგმის შემუშავება, თუ როდის მოხდება ამ ადგილების დახურვა, შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით. ამ ეტაპის გავლის შემდეგ ტერიტორიაზე ზედაპირულად უნდა მოხდეს ნარჩენების შეგროვება და გატანა. ქიმიური ნივთიერებების მოყრა, მიწის დაყრა, ამ ადგილის დატკეპნა და მწვანე ნარგავების დარგვა.

2018-2019 წლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ 8 მცირე ნაგავსაყრელის დახურვა შეძლო. თუმცა რაც შეეხება ფართომასშტაბიან ნაგავსაყრელებს, რომლებიც საბჭოთა პერიოდიდან არსებობს, მათი აღმოფხვრა ადგილობრივ ხელისუფლებას დამოუკიდებლად უჭირს. შესაბამისად, მიმდინარე წლის ბოლომდე მუნიციპალიტეტში არსებული სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაცია არც თუ ისე რეალურია და შესაბამისად დიდი ალბათობით ამ ვალდებულების შემდეგ წელში გადატანა მოხდება.

სტიქიური ნაგავსაყრელების პრობლემას ყველაზე მეტად ის საკითხიც ამწვავებს, რომ მუნიციპალიტეტის ყველა სოფლიდან ნარჩენების გატანა ვერ ხერხდება. ამის მიზეზი რთული რელიეფია. მძიმე კლიმატური პირობების გამო ,ზამთარში ე.წ ზედა ზონის სოფლებამდე, (ტაბაწყური, მოლითი, ბალანთა, ჭიხარულა,) მისასვლელი გზა იკეტება. ამიტომ ამ სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა ვერ ხერხდება.

კიდევ ერთი საკითხი, რაც სტიქიური ნაგავსაყრელების წარმოქმნას უწყობს ხელს, სანაგვე ურნებისა და კონტეინერების არასაკმარისი რაოდენობაა. სოფლების ნაწილში ზარის სისტემა* მოქმედებს და ურნები არ დგას. არის სოფლები, სადაც ურნების რაოდენობა მცირეა და ურნებს შორის მანძილი ევროკავშირის

---

* *ზარის სისტემის განმარტება იხ. ამავე კვლევის გვ. 9.*

სტანდარტებს არ შეესაბამება. როგორც ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს გამოირკვა, იმისათვის, რომ სრულად მოხდეს დაფარვა, მუნიციპალიტეტისათვის საჭიროა მინიმუმ 800 ურნა. მერია ურნებს ყოველწლიურად იძენს, თუმცა როგორ მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, ახალი ურნებით ძველის ჩანაცვლება ხდება და ურნების საჭიროება ისევ დგას.

როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტიდან გამოთხოვილ ინფორმაციაშია აღნიშნული, 2018 წლიდან დღემდე მუნიციპალიტეტმა შეიძინა 350 ცალი 1$მ^3$ ტევადობის და 50 ცალი 0,05 $მ^3$ ტევადობის კონტეინერი, რომელიც გადანაწილდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (ქალაქში, დაბებში, სოფლებში) , რომლის შედეგადაც მოხდა მომსახურების ტერიტორიის არეალის გაზრდა.ურნების შეძენის პროცესს მერია მომდევნო წლებშიც აგრძელებს.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ ნარჩენების გატანის საკითხის უკეთ რეგულირებისთვის მუნიციპალიტეტს დამატებითი ტრანსპორტი ესაჭიროება. დღეს არსებული რესურსით ნარჩენების გატანა ხდება და პრობლემა არ იქმნება, თუმცა საჭიროება დგას მინიმუმ 2 მაღალი გამავლობის ნაგავმზიდი მანქანის დამატებისა, რასაც შესაბამისი ფინანსები სჭირდება. როგორც ბორჯომის მუნიციპალიტეტიდან გამოთხოვილ ოფიციალურ ინფორმაციაშია აღნიშნული, 2018 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი იქნა ორი ერთეული ISUZU-ს ტიპის 10 $მ^3$ ტევადობის სპეციალური ნაგავმზიდი და 1 ერთეული ISUZU-ს ტიპის სპეციალური სარწყავი/დამგველი, რომლის შედეგადაც გაუმჯობესდა მომსახურების ხარისხი, როგორც ქალაქში, ასევე დაბებსა და სოფლებში. მიუხედავად ამ შენაძენისა, დამატებითი ტექნიკის შეძენას მუნიციპალიტეტი ისევ საჭიროებს, რაც ნარჩენების მართვის კუთხით სიტუაციას მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა.

ნინოწმინდის

მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმაში წერია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 47 სტიქიური ნაგავსაყრელია, ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ არასანქცირებული ნაგავსაყრელების რაოდენობა 30-ს აღწევს, გარკვეული ნაწილი უკვე დახურულია. თუმცა როგორც მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, ნაგავსაყრელების დახურვა დადგენილი წესის მიხედვით არ ხდება, რადგან მუნიციპალიტეტში ამისათვის კვალიფიციური ადამიანური რესურსი და არც გამოცდილება საკმარისი არ არის. სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვის პერიოდი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტისთვის 2021 წლამდეა მითითებული. თუმცა როგორც მონიტორინგის შედეგად გაირკვა, 2020 წელს ამ კუთხით არაფერი გაკეთებულა, რაც იმის ვარაუდის საშუალებას გვაძლევს, რომ ამ კუთხით მუნიციპალიტეტი გამოწვევის წინაშეა.

რაც შეეხება ტექნიკას, მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ ნინოწმინდაში არსებული ტექნიკა მუშა მდგომარეობაშია, თუმცა არ არის საკმარისი მუნიციპალიტეტის სრულად ასათვისებლად და საჭიროებს დამატებას. პრობლემას

შიდა გზებიც ქმნის, რომელიც რეაბილიტაციას საჭიროებს, რის გამოც სპეც ტექნიკას სოფლებში შესვლა უჭირს.

ფოკუს ჯგუფის მონაწილის ციტატა :

> ,,ბოლო სამი წლის განმავლობაში ნინოწმინდაში სიტუაცია ნარჩენების მართვის კუთხით გაუმჯობესდა. ადრე არ იყო კონტეინერები და პირდაპირ ქუჩაში იყრებოდა ნაგავი, ახლა არის ქალაქში და ზოგიერთ სოფლებშიც კონტეინერები, მაგრამ არაა საკმარისი რაოდენობის. არის შემთხვევები, როცა სოფლებში გროვდება ნაგავი და მერე რეკავენ მერიაში, რომ გამოაგზავნონ მანქანა და გაიტანონ ნაგავი, მაგრამ ზოგჯერ ხდება ხოლმე, რომ არავინ არ რეკავს, და ჩნდება ნაგვის გროვები. ასევე ნარჩენებით გარემოს დაბინძურება მოჰყვება ხოლმე პიკნიკს ბუნებაში, საპიკნიკე ადგილებში არ არის კონტეინერები, ამიტომ პიკნიკის მერე პირდაპირ პიკნიკის ადგილზე ტოვებენ ნაგვის გროვებს. „

სანაგვე კონტეინერებით ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ქალაქი 100%-ით დაფარულია, სოფლებში კი დაფარვის მაჩვენებელი 50% აღწევს. როგორც ჩაღრმავებული ინტერვიუს ფორმატში აღინიშნა, სტიქიური ნაგავსაყრელების წარმოქმნის მიზეზი, სანაგვე ურნებისა და ნაგავმზიდიმანქანების ნაკლებობაა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ განთავსებულია 350 ურნა 1100 მ. კუბიანი. გარდა ამისა დგას 20 პლასტმასის ურნა 330 მ.კუბიანი.

ნინოწმინდისათვის გამოწვევაა ჯიგრაშენში განთავსებული ნაგავსაყრელი, სადაც ნინოწმინდისა და ახალქალაქის საყოფაცხოვრებო ნარჩენები იყრება.

ფოტოზე, ქვემოთ: ნაგავსაყრელი ჯიგრაშენში.

- მართალია შემოღობილია ჯიგრაშენის ნაგავსაყრელი, მაგრამ აქედან ქარი მაინც ავრცელებს ნაგავს, განსაკუთრებით ცელოფნის პარკებს, რომლებიც დაფრინავენ შემდეგ ყველგან. საპროტესტო აქციაც კი გაიმართა ამ ნაგავსაყრელის დახურვის მოთხოვნით, რადგან აბინძურებს გარემოს, მაგრამ ჯერ-ჯერობით მაინც ასეა - გვითხრეს ნინოწმინდაში მოსახლეობასთან შეხვედრების დროს.

სამშენებლო ნარჩენები

მონიტორინგის პროცესში ყურადღება გავამახვილეთ პრობლემაზე, რომელიც სამშენებლო ნარჩენების განთავსებასთანაა დაკავშირებული.

ბორჯომის

მუნიციპალიტეტში, საკურორტო ზონების მზარდი განაშენიანების პარალელურად, მწვავედ დადგა სამშენებლო ნარჩენების განთავსების საკითხი. ნარჩენების მართვის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა , რომ ბორჯომის ტერიტორიაზე სამშენებლო ნარჩენების განსათავსებლად ნაგავსაყრელი არ არსებობს, სამშენებლო ნარჩენების განთავსება ხდება ქაოტურად სტიქიურ ნაგავსაყრელებზე ან ხაშურის ნაგავსაყრელზე. ნარჩენების განთავსება ხდება ასევე კერძო ტერიტორიებზეც. ასეა მაგ. დაბა ახალდაბაში, სადაც სამშენებლო ნარჩენების გროვა კერძო ტერიტორიაზეა განთავსებული.

ფოტოებზე, ქვემოთ: სამშენებლო ნარჩენი ახალდაბაში, კერძო მესაკუთრის ტერიტორიაზე და ბაკურიანში ბეატლონის ტრასის მიმდებარედ.

მონიტორინგის ჯგუფმა მოინახულა რამდენიმე ლოკაცია ბორჯომის გარეუბნებში, ასევე ბაკურიანის ტყეში ბეატლონის ტრასასთან, სადაც სამშენებლო ნაჩენებია განთავსებული . არის სამშენებლო ნარჩენებით მდინარის დაბინძურების ფაქტებიც.

ფოკუს ჯგუფის მონაწილის ციტატა:

> ,,სამშენებლო ნარჩენები საკმაოდ დიდი პრობლემაა ბორჯომისთვის, არ არსებობს სპეციალური ნაგავსაყრელი ამისთვის. ანუ კერძო პირები უნდა დაიქირავო, რომლებიც პირდებიან კლიენტს, რომ ნარჩენების გატანას მოახდენენ. მერე კი მიაქვთ ეს ნარჩენი და ან ყრიან ტყეებში, ან მდინარის ნაპირებზე. ერთ-ერთი დიდი სასტუმრო წლების წინ რომ აშენდა, სამშენელო ნარჩენები მტკვარში ჩაიყარა... აღმშენებლობა არ ნიშნავს იმას, რომ ეს ყველაფერი უნდა ვისუნთქოთ, ან ჩვენ ან ჩვენმა შვილებმა უნდა ისუნთქონ...და ბიზნესი თუ გინდა ამხელა, ამ ყველაფერზეც უნდა შეგეძლოს პასუხისმგებლობის აღება. ეს ყველაფერი გვიბრუნდება უკან დაბინძურებული წყლის სახით, ჰაერის სახით, და ვიწამლებით. და გარდა იმისა, რომ უსახურია, ულამაზოა და არ მოგვწონს, ეს ყველას ჯანმრთელობაზეც აისახება. „

ბორჯომთან თუ გავავლებთ პარალელს, ბაკურიანში 2-ჯერ მეტი სამშენებლო ნარჩენები იყრება სტიქიურად ტყეებში, რაც გამოწვეულია იმითაც, რომ ვერ ხდება კონკრეტული ბიზნესოპერატორების გაკონტროლება, თუ სად ახდენენ ნარჩენების განთავსებას. შესაბამისად, როდესაც ვიღებთ ფაქტს და ტყეებში ან მდინარის ნაპირებზე სამშენებლო ნარჩენები უკვე განთავსებულია, რთულია იმის დადგენა, თუ ვის მიერ დაიყარა , რომ საჯარიმო სანქცია ამოქმედდეს, რაც ნეგატიური კუთხით ახალისებს აღნიშნულ პროცესს - გვითხრეს ინტერვიუს დროს.

ჩაღრმავებული ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ ბორჯომის მერიამ გარემოს დაცვის სამინისტროსთან კონსულტაციის შედეგად დაიწყო შესაბამისი ტერიტორიის მოძებნა, სადაც სამშენებლო ნაგავსაყრელი განთავსდებოდა, ეს ტერიტორია დღემდე ვერ შეირჩა, თუმცა გამოიკვეთა ზონები, სადაც ნარჩენების განთავსება აკრძალული იყო. ყოველივე ამან პროცესის გაჭიანურებას შეუწყო ხელი.

ზემოაღნიშნულიდან ვასკვნით, რომ სამშენებლო ნარჩენების მართვის საკითხი ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი რთულად მოსაგვარებელი პრობლემაა და მისი აღმოფხვრა სცილდება ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებებსა და შესაძლებლობებს.

ახალციხის

მუნიციპალიტეტისთვისაც სამშენებლო ნარჩენებთან დაკავშირებული პრობლემა მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მუნიციპალიტეტში არ არსებობს სამშენებლო ნარჩენების განსათავსებლად საჭირო ნაგავსაყრელი, რის გამოც სამშენებლო ნარჩენების გადატანა ხდება ჭაჭარაქში არსებულ ნაგავსაყრელზე. თუმცა სამშენებლო ნარჩენების გროვა ახალციხის შესასვლელშიც გვხვდება. იხ. ფოტოზე.

ფოტოებზე, ქვემოთ: სამშენებლო ნარჩენები ახალციხის შესასვლელში

ფოკუს ჯგუფის მონაწილის ციტატა:

> ,, ის აღმშენებლობითი საქმიანობა, რაც ახალციხეში მიმდინარეობს - ქუჩების მშენებლობა, კორპუსების მშენებლობა და სხვა რაღაცეები, ეს კარგია, რომ კეთდება, მაგრამ ამ გაკეთებულიდან რაც ნარჩენები რჩება, ამ ნარჩენების გატანა ხდება ძალიან გვიან. ამიტომ მტვერი, ცემენტები, სამშენებლო ნაგავი რჩება. და მათაც არ უნდათ გატანა და ტერიტორიის დასუფთავება, ვინც ამ ნარჩენს ტოვებს. მშენებლები არ იღებენ ამ ნარჩენების გატანაზე პასუხისმგებლობას“

- **ადიგენის** მუნიციპალიტეტში, როგორც მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, არსებობს სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელი სოფელ შოლავერში, სადაც ნარჩენების განთავსება მისთვის სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე ხდება.

რაც შეეხება **ასპინძის, ნინოწმინდისა და ახალქალაქის** მუნიციპალიტეტებს, აქ სამშენებლო ნარჩენების განსათავსებლად, ცალკე გამოყოფილი ნაგავსაყრელი არ არის, როგორც ჩაღრმავებული ინტერვიუებისას გამოირკვა, მუნიციპალიტეტში მსგავსი სახეობის ნარჩენი მცირე რაოდენობითაა, და რაც არის, ამ ნარჩენებს სტიქიურად ხევებში ყრიან.

გარემოსდაცვითი ცნობიერება

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი გარემოსდაცვითი ცნობიერება.

შესაბამისად მოქალქეთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებლად განსახორციელებელ საინფორმაციო კამპანიებს რეგიონის ექვსივე მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში ჩაწერილი ინტერვიუების თუ ფოკუს-ჯგუფის შედეგების თანახმად, ყველა ამბობს, რომ სტიქიური ნაგავსაყრელების წარმოქმნა და გარემოს დაბინძურება ხშირად მოსახლეობის დაბალ გარემოსდაცვით ცნობიერებას უკავშირდება.

ფოკუს ჯგუფის მონაწილის ციტატა:

> „ იცით, რაშია პრობლემა? ხშირად ვხედავ, რომ არის ურნები და მოშორებით მაინც ყრია ნაგავი. იქ, სადაც უკვე შეეჩვივნენ წლების წინ, ეზარებათ ორი ნაბიჯით მეტი გაიარონ და ნარჩენი ურნებამდე მიიტანონ. ზოგჯერ ურნა დგას და იქვე გვერდით ყრია ნაგავი. მაგალითად, დიდი მარკეტების თანამშრომლებს გამოაქვთ შენობიდან დიდი მოცულობის მუყაოს ყუთები. ეს ყუთები არ ეტევა კონტეინერებში და აზრად არავის მოდის დაკეცოს და ისე ჩააგდოს კონტეინერში და იქვე კონტეინერის გვერდზე ყრიან. ეს დაბალი თვითშეგნების ბრალია. ბორჯომი საკურორტო ზონაა, და აქ განსაკუთრებით უნდა იყოს ყველაფერი მოწესრიგებული,,

როგორც მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, ბორჯომის მერია მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებლად გარკვეულ აქტივობებს ახორციელებს.

კერძოდ, ბორჯომის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმაში ვკითხულობთ, რომ მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების კუთხით დაგეგმილია სხვადასხვა სახალისო აქტივობების/კამპანიების განხორციელება საბავშვო ბაღებსა და სკოლებში საკითხის აქტუალიზაციის მიზნით. ასევე საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება მოსახლეობასთან. სკოლებში ახალგაზრდებთან შეხვედრები და საუბარი ნარჩენებით გარემოს დაბინძურების საკითხზე და საჯარიმო სისტემაზე . (2019–2020 წლების გეგმა).

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიიდან მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოთხოვილ ოფიციალურ ინფორმაციაში წერია, რომ გარემოსდაცვითი ცნობიერების კუთხით მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდა არაერთი

ღონისძიება, კერძოდ დასუფთავების აქციები, სადაც ჩართულნი იყვნენ ადგილობრივი მერიის, საკრებულოს, ა(ა)ი.პ-ების და სხვადასხვა დაწესებულებების თანამშრომლები მოსახლეობასთან ერთად. აღნიშნული აქციები კი აქტიურად შუქდებოდა ადგილობრივ მედია საშუალებებში და სოციალურ ქსელებში.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ ეს აქტივობები კარგია, თუმცა არასაკმარისია, რადგან სწორად ვერ ხდება სამიზნე ჯგუფების შერჩევა.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილის ციტატა:

> ,,კარგია, დასუფთავების აქციები, მაგრამ ხშირად ეს არაა საკმარისი ცნობიერების ამაღლებისათვის. ძირითადად გამოჰყავთ სკოლები, ახალგაზრდები, მერიის თანამშრომლები. ცუდი არ არის, თან ახალგაზრდების ჩართულობა მნიშვნელოვანია და ისინი არ აბინძურებენ გარემოს. მაგრამ ისე ხდება, რომ ის ადამიანები, ვინც რეალურად აბინძურებენ გარემოს, ისინი არ იღებენ მონაწილეობას ასეთ აქციებში. უფრო სხვა მასშტაბი უნდა ჰქონდეს ამ აქციებს, უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო ხასიათი, რომ გავაგებინოთ მათ, ვინც აბინძურებს, რომ რატომ არის ცუდი, რომ ეს ნარჩენები გარემოში ყრია. არა მხოლოდ ის, რომ ულამაზოა, რაც ყრია, არამედ აბინძურებს ყველაფერს. სუფთა წყალი, სუფთა ჰაერი რომ გვინდა, ასე არ ხდება, დაცვა ჭირდება ამ ყველაფერს. უნდა ხდებოდეს მოსახლეობის ჩართვა. და არა მხოლოდ სამსახურების. ცნობიერების ამაღლების კამპანია უნდა მოიცავდეს სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდებას. კარგი იქნება საგანამანთლებლო ხასიათის სოციალური რგოლების მომზადება, ამ მხრივ მედიის გამოყენება. ,,

ადიგენის მუნიციპალიტეტში ჩაღრმავებული ინტერვიუს ფორმატში მონიტორინგის ჯგუფის მიერ მიღებული ინფორმაციის მიხედვით, მოქალქეთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით ადგილობრივი ხელისუფლება სხვადასხვა აქტივობებს მიმართავს. არიგებენ საინფორმაციო ფურცლებს, მართავენ შეხვედრებს მოსახლეობასთან და ატარებენ დასუფთავების აქციებს სკოლებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით.

რაც შეეხება 2020 წლის ვალდებულებას, ადიგენის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმაში ვკითხულობთ, რომ დაგეგმილია სხვადასხვა წამახალისებელი აქციები; ცნობიერების ამაღლება სკოლებში და ბაღებში და მოსახლეობასთან შეხვედრები (2020 წ.) თუმცა ადიგენის მერიიდან მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოთხოვილ ინფორმაციაში გარემოსდაცვითი ცნობიერების კუთხით შესრულებულ საქმიანობაზე არაფერია ნათქვამი.

ასპინძის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმაშიც გაწერილია ის საინფორმაციო კამპანიები, რაც მოსახლეობის გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების კუთხით უნდა განხორციელდეს. კერძოდ: გამოფენების ორგანიზება და

მოწყობა (2019-2020 წწ), სკოლის მოსწავლეებისათვის და ბაღების აღსაზრდელთათვის სემინარების, ტრენინგების ორგანიზება (2019-2020 წწ); სემინარების, შეხვედრების ორგანიზება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის (ფერმერები, ბიზნეს წარმომადგენლები, სერვისის მომწოდებლები) და საინფორმაციო მასალების მომზადება-გავრცელება (2018-2020 წწ).

მონიტორინგის ჯგუფის მიერ ასპინძის მუნიციპალიტეტიდან გამოთხოვილი ოფიციალური ინფორმაციის თანახმად 2018-2019 წლებში ნარჩენების მართვის კუთხით, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად მოეწყო შეხვედრები ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის გეგმაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების კუთხით შემდეგი პუნქტებია გაწერილი: ტელეგადაცემების ორგანიზება(2018 – 2023); პუბლიკაციების განხორციელება(2019 – 2022); კონფერენციების ჩატარება(2019); საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება(2019- 2022),

მონიტორინგის ჯგუფმა იმის გასარკვევად, თუ რა განხორციელდა აქ აღწერილი აქტივობებიდან, ნინოწმინდის მერიიდან საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა, სადაც აღნიშნულია, რომ რეგულარულად მიმდინარეობს საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება ადგილობრივ მედია საშუალებებში. ეს ნინოწმინდის ადგილობრივ მედიაშიც დაგვიდასტურეს, რომ კეთდება გადაცემები, სოციალური სარეკლამო რგოლები, რომელთა მიზანია მოქალაქეთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილები თვლიან რომ ყველაზე ეფექტური მაინც საჯარიმო სანქციებია გარემოს დაბინძურების პრევენციისათვის.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილის ციტატა:

> ჩვენთან (ნინოწმინდაში) სამი წლის წინ იყო დაჯარიმების შემთხვევა და ამან იმუშავა კიდეც, ოთხი კაცი დააჯარიმეს იმისათვის, რომ მათ ნაგავი გადაყარეს ბუნებაში. ამან იმუშავა, ხალხი შეშინდა, რომ თუ გადაყრიდნენ ნაგავს, დაჯარიმდებოდნენ. მაგრამ ახლა არავინ არ დაუჯარიმებიათ და ხალხი ისევ მოეშვა. ხალხი ფიქრობს, რომ ჯარიმებზე უბრალოდ ჰაერში ლაპარაკობენ და მორჩა, რეალურად არავინ არავის აჯარიმებს. აუცილებელია ადამიანებმა გაიგონ, რომ არ შეიძლება ნაგვის გადაყრა. ამ თემაზე რადიოთიც არაერთხელ გაკეთდა რეპორტაჟები და რეკლამები. მაგრამ სიტუაცია მაინც ცუდია. ხალხის შეგნება უნდა იყოს მაღალი, თორემ ვერ აუვა მუნიციპალიტეტი ნაგვის გატანას, ყველაგან უბრალოდ ვერ გააგზავნი მანქანებს.

ახალქალაქის

მუნიციპალიტეტში, ნარჩენების მართვის გეგმაში წერია, რომ გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების კუთხით მუნიციპალიტეტში შემდეგი აქტივობები უნდა განხორციელდეს: ტრენინგ-სემინარების ორგანიზება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის (2019 – 2022); სკოლის მოსწავლეებისათის ბანაკების და სასწავლო ტურიების ორგანიზება(2020 – 2022), ბაღების აღსაზრდელებისათვის სახალისო სასწავლო ღონისძიებების ორგანიზება (2018 – 2022) , საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება(2018- 2022). მონიტორინგის ჯგუფმა აღნიშნულის გადასამოწმებლად საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა, რაც სამწუხაროდ არ მიგვიღია. ჩაღრმავებული ინტერვიუს ფორმატში კი გამოიკვეთა, რომ მოსახლეობას გარემოსდაცვით თემებზე ძირითადად რწმუნებულები ესაუბრებიან. ასევე ყოველწლურად ტარდება დასუფთავების აქციები, რომლებშიც მერიის თანამშრომლები, სკოლები და სხვადასხვა სამსახურები იღებენ მონაწილეობას.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილის ციტატა:

> ,, ვიცი ხალხის განწყობა, ჩვენთან (ახალქალაქში) სოფლებში, ისეთი დამოკიდებულება აქვთ, რომ სუფთა უნდა იყოს ყველაფერი, ეზო, გზა, სახლი, მაგრამ ის ტერიტორია, რომელიც საერთოა და დაშორებულია მოსახლეობისგან, იქ ყრიან ძალიან ბევრ ნაგავს. ეს არ აინტერესებთ, მაგრამ მერე უბერავს ქარი, ფანტავს ამ ნაგავს, და ისევ ამ სოფლებს უბრუნებს უკან მათგან გზაზე, მოშორებით გადაყრილ ნაგავს. „

ახალციხის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის 5 წლიან გეგმაში ვკითხულობთ, რომ გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების კუთხით დაგეგმილია ტელეგადაცემების ორგანიზება (2019 – 2023); პუბლიკაციების მომზადება(2019 – 2023); კონფერენციების ჩატარება(2019) და საინფორმაციო მასალების მომზადება და გავრცელება(2019- 2023).

არსებული ინფორმაციისა და ჩატარებული აქტივობების გადასამოწმებლად, მონიტორინგის ჯგუფმა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიიდან საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა, სადაც ვკითხულობთ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით მომზადებულია კომპოსტირების შესახებ ბუკლეტები და ბროშურები, რომელიც დაურიგდათ ახალციხის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე მცხოვრებლებს. სხვა აქტივობებზე არაფერია ნათქვამი.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ რეგიონის არც ერთ მუნიციპალიტეტში არ მოქმედებს საჯარიმო სანქციები გარემოს დაბინძურებისათვის. ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფის დროს გაიხსენეს პიროვნებების დაჯარიმების მხოლოდ ერთეული შემთხვევები, რომლებსაც არ ჰქონია რეგულარული ხასიათი. ეს მაშინ, როცა, მონიტორინგის ჯგუფის მიერ გამოკითხულთა უმრავლესობა თვლის, რომ საჯარიმო

სანქცია და ამის შესახებ საზოგადოების ინფორმირება გამოიღებდა სასურველ შედეგს, რადგან სხვისთვის იქნებოდა მაგალითი, აღარ დაებინძურებინა გარემო.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილის ციტატა:

,, რეგულაციებზეც ვიტყოდი, კიდევ ერთხელ ცვლილება შევიდა ნარჩენების მართვის კოდექსში და გაიზარდა ჯარიმა გარემოს დაბინძურებისათვის, მაგრამ რამდენიც არ უნდა გახდეს ჯარიმა, 200 იქნება თუ 1000 ლარი, ვერ მოაგვარებს პრობლემას, თუ არ მოხდა მისი აღსრულება. მე ხშირად მქონია პატრულთან კითხვა, რატომ არ აჯარიმებთ, ის გეუბნება, რომ ჩემი საქმე არ არისო. მუნიციპალიტეტსაც შეუძლია მსგავსი ჯარიმა გამოწეროს, გარემოს დაცვის ზედამხედველობის სამსახურსაც შეუძლია, და ასევე პატრულსაც, თუმცა ყველა იცილებს ამ თემას. რთულია იმის იდენტიფიცირება , ვინ დაანაგვიანა, თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, როცა ამის იდენტიფიცირება ხდება, არ ხდება დაჯარიმება.

მე ვფიქრობ, შედეგის მისაღწევად მნიშვნელოვანია შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობა, გარემოსდაცვითი ცნობიერება და კანონმდებლობის აღსრულება, და არა მხოლოდ კანონი დაწერილი ფურცელზე,,

მნიშვნელოვანი მიგნებები და დასკვნები

- სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებში - ადიგენში, ასპინძაში, ახალციხეში, ახალქალაქში, ბორჯომსა და ნინოწმინდაში შექმნილია ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმები, რომელთა შესრულება ეტაპობრივად მიმდინარეობს.
- ბოლო სამი წლის მანძილზე სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ნარჩენების მართვის კუთხით სიტუაცია გაუმჯობესდა. ექვსივე მუნიციპალიტეტში - ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში დაემატა ნაგვის კონტეინერები, საიდანაც რეგულარულად ხდება ნარჩენების გატანა. თუმცა რეგიონის სოფლები სრულად არაა ათვისებული. ეს კი სოფლებში, ხევებში, გზებისა და მდინარეების ნაპირებზე სტიქიური ნაგავსაყრელების წარმოქმნის მიზეზი ხდება.
- ნარჩენების მართვის კუთხით ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა მუნიციპალიტეტებში საჭირო რაოდენობის სპეც ტექნიკისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა.
- ნარჩენების მართვის გეგმებში აღრიცხულია მუნიციპალიტეტებში მდებარე სტიქიური ნაგავსაყრელები და გაწერილია ამ ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაციის ვალდებულება, თუმცა ხშირად ეს პროცესი ჭიანურდება. ამის მიზეზი ფინანსური და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანური რესურსების ნაკლებობაა.
- რეგიონისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა სამშენებლო ნარჩენები. არაა ოფიციალური ადგილი გამოყოფილი სამშენებლო ნარჩენების განთავსებისათვის.
- მნიშვნელოვანი გამოწვევაა ასევე რეგიონის მოსახლეობის დაბალი გარმოსდაცვითი ცნობიერება. ნარჩენების მართვის გეგმებში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს მოქალქეთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ასამაღლებლად განსახორციელებელ საინფორმაციო კამპანიებს, თუმცა ამ მხრივ მუნიციპალიტეტების მიერ ჩატარებული ღონისძიებები არ არის საკმარისი და ეფექტური.
- ფორმალურ ხასიათს ატარებს საჯარიმო სანქციების სისტემა გარემოს დაბინძურებისათვის.

რეკომენდაციები

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხარდაჭერა ნარჩენების მართვისათვის საჭირო რაოდენობის სპეც. ტექნიკისა და შესაბამისი ინვენტარის შესაძენად.
- სასურველია ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა იზრუნონ იმისათვის, რომ დამატებით გადამზადდეს მუნიციპალიტეტიდან რამდენიმე წარმომადგენელი, რომლებიც ადგილზე მოახდენენ სტიქიური ნაგავსაყრელების დახურვა/რემედიაციას.
- სასურველია გამოიყოს ადგილი და მოეწყოს ერთიანი მუნიციპალური ნაგავსაყრელი , სადაც შესაძლებელი იქნება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებიდან სამშენებლო ნარჩენების განთავსება.
- სასურველია მუნიციპალიტეტებმა უფრო ახლოს ითანამშრომლონ გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან და განახორციელონ ერთობლივი ღონისძიებები რეგიონში გარემოსდაცვითი პრობლემების აღმოფხვრის მიზნით.
- მოქალაქეთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით სასურველია დასუფთავების აქციები გახდეს საყოველთაო, სადაც აქტიურად ჩაერთვება მოსახლეობა და არა მხოლოდ საჯარო და სხვა სამსახურები.
- მოქალაქეთა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით სასურველია მომზადდეს საინფორმაციო-საგანამანთლებლო სოციალური რგოლები, რომლებიც უნდა გავრცელდეს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით.
- რეალურად უნდა ამოქმედდეს და დაინერგოს საჯარიმო სანქციები გარემოს დაბინძურებისათვის.